ხელშეკრულება 15

აუდიტორული მომსახურების გაწევის შესახებ

ქ.თბილისი "08" "აპრილი" 2013 წელი

1.ზოგადი ნაწილი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ბიზნეს აუდიტ სერვისი" მისი დირექტორის ფირუზი ჭოლიკაურის სახით (შემდგომში "შემსრულებელი"), ერთის მხრივ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საქავტოტრანსი" მისი დირექტორის ზურაბ ადამიას სახით (შემდგომში "დამკვეთი"), მეორეს მხრივ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2.ხელშეკრულების საგანი

2.1 "დამკვეთი" ავალებს ხოლო "შემსრულებელი" თავის თავზე იღებს გაუწიოს მას აუდიტორული მოსახურება, კერძოდ:

საზოგადოების კაპიტალიდან უძრავი ქონების ნაწილის ამოღების შემდეგ საწესდებო კაპიტალის ცვლილებების განსაზღვრა.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. "დამკვეთი" ვალდებულია:

- მისცეს "შემსრულებელს" უტყუარი ახსნა-განმარტება მისი საქმიანობის შესახებ და დროულად მიაწოდოს დამატებითი ინფორმაცია მუშაობისას წამოჭრილ ყველა კითხვაზე.
- ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს შემსრულებელს მის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება.

3.2. "შემსრულებელი" ვალდებულია:

- არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კალენდარული დღისა მოახდინოს "დამკვეთი"-ს საწესდებო კაპიტალის ცვლილებების განსაზღვრა.
- გაუწიოს შესაბამისი კონსულტაციები და რეკომენდაციები.

4. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. მხარეთა შეთანხმებით გაწეული მომსახურების ღირებულება განსაზღვრულია 300 (სამასი) ლარით დამატებული ღირებულების გარეშე.

4.2. მომსახურების საფასურის გადახდა მოხდება უნაღდო ანაგარიშსწორების წესით, შესაბამისი დასკვნების ჩაბარებიდან არაუგვიანეს საანგარიშო თვის 5 კალენდარული დღისა, აღნიშნული ვადა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა სიტყვიერი ან წერილობითი შეთანხმებით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობანი

5.1 "დამკვეთის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობაზე და სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება "დამკვეთს".

5.2. "შემსრულებელი" კისრულობს პასუხისმგებლობას მის მიერ შესრულებული სამუშაოების სისწორეზე "დამკვეთი"-ს წინაშე, მისი მიზეზით დარიცხული საჯარიმო სანქციებისათვის, მომსახურებისათვის გადახდილი თანხის ფარგლებში.

6. დავის გადაწყვეტის წესი

6.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ყველა სადავო საკითხი წყდება ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობისას სასამართლო წესით.

7. ხელშეკრულების მოქმედება

7.1. ხელშეკრულების პირობები შესაძლოა შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით, რაც გაფორმდება ამ ხელშეკრულების დანართის სახით.

7.2 ხელშეკრულება ძალაშია 2013 წლის 8 აპრილიდან და მოქმედებს 2013 წლის 15 აპრილის ჩათვლით.

7.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად, ხელმოწერილია მხარეთა მიერ და ორივე ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

<u>მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:</u>

შპს. "ბიზნეს აუდიტ სერვისი" საიდენტიფიკაციო კოდი: 406031841 ქ. თბილისი, სანზონა კორპ.13 ბინა 9 სს "თიბისი ბანკის" TBCBGE22 GE76TB7090136020100012/GEL ფირუზი ქოლიკაური ----------	შპს. "საქავტოტრანსი" საიდენტიფიკაციო კოდი: 211345089 ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12 პროკრედიტბანკი MIBGG22 GE73PC0313600100000392 ზურაბ ადამია ----------